ამჯერად მარშანია დიდი იმედით მიეშურებოდა ლახამულისაკენ. ორმოცდაათამდე იარაღში ჩამჯლარი აფხაზი მიუყვებოდა მას და არც კი ეშინოდა ვინმესთან შეხვედრა. კარგად იცოდა, რომ მისი ამხანაგები ნაძარცვ-ნატაცებს დახარბებულნი, არაფერს დაერიდებოდნენ. განსაკუთრებით გამოირჩეოდა მათში ახალგაზრდა აბრაგი სისი გიუება, რომელიც თავისი სიმარდითა და ღონით ყველას სჯობნიდა. მართალია ის პირველად იყო ამ გზაზე, მაგრამ არ იცოდა რა იყო შიში ოქროზე თვალებანთებულმა. მარშანიას სურვილი იყო თავს დასხმოდნენ სოფელს მოხერხებულად, ამოეწყვიგათ მამაკაცები ვინც წინააღმდეგობას გასწევდა და ტყვედ წაესხათ ახალგაზრდები და პირუტყვი.

შუალაშე იქნებოდა, როცა ყაჩაღთა რაზმი ლაჯურლულას კლდეებს მიაღდა. მართალია აბრაგები ისე იყვნენ გამოცდილნი ცუდ ადგილებში სიარულით, რომ სამეგრელოსა და აფხაზეთის ეკალ-ბარდიან ბილიკებზე გურებივით დამკრებოდნენ, მაგრამ

კილუთის კლდეების შუალამის ჩრდილებმა თავზარი დასცეს. ისინი მიდიოდნენ ვიწრო ბილიკზე, სადაც ორი კაცი ერთიმეორეს გვერდს ძლივს აუვლიდა. საკმარისი იყო კაცს ფეხი დასხლგომოდა, რომ დაახლოებით 300 მეტრი ჰაერში ეფრინა მიწასთან შეუხებლად, რის შემდეგაც ის ჩავარდებოდა ენგურში, რომელიც გაგიჟებული გველეშაპივით ღრიალითა და ზათქით ესლებოდა მოლიპულ კლდეებს, ხოლო ზევით, ბილიკისაკენ ცივი ორთქლის ოხშივარს უშვებდა. კლდეთა ნაპრალებზე გამოშვერილი ფიჭვები ნაბადმოსხმულ სვანთა გუშაგებს ჰგავდნენ ბნელ ღამეში დამხვლურებივით განაბულს და ხანჯლებზე ხელებდაწყობილს.

ამხანაგების შიში კინაღამ მარშანიასაც გადაეღო და ამიგომ ცხენს ჩუმაღ, უფრო თავის გასამხნევებლად შეუძახა:-„აჰაჰაიგმარჯა !“ თან უზანგებიდან ფეხები გამოაძრო ყოველშემთხვევისათვის. მგზავრებმა ფრთხილად გაიარეს ნაპრალების თავზე, გავიდნენ შედარებით ფართო გზაზე და მცირე ღროის შემდეგ შეჩერდნენ ჩუბე ჩეს პაგარა ვაკეზე, საიდანაც გამოჩნდა ჩვაბე ლახამულის ყახები და ღამის გოლიათებივით გარინდული შეუვალი კოშკები.

მარშანიამ ამხანაგებს აფხაზურად უბრძანა ცხენებიდან ჩამოსულიყვნენ და დაბანაკებას შესდგომოდნენ.კუჭმა კარგად იცოდა, რომ ამ ადგილიდან გაღმა სოფლამდე ცოგა მანძილი იყო. მას გადაწყვეტილი ჰქონდა ცოგა დაესვენა ამხანაგებითურთ და განთიადისას მოულოდ ნელად თავს დასხმოდა ლახამულს. როგორც ამ ადგილების კარგად მცოდნე, კუჭი დარწმუნებული იყო, რომ მამაკაცები სათიბად იქნებოდნენ წასული ჰამაშის, თითუელემის და მუქელის საძოვრებზე. თუ ვინმე იმ ღამით შინ იქნებოდა დაბრუნებული უთენია წვილიოდა ისევე სამუშაოდ, ხოლო თითო-ოროლა მამაკაცი, რომლებიც შინ აღმოჩნდებოდნენ, ვერაფერს დააკლებდ ნენ ორმოცდაათ კბილებამდე შეიარაღებულ ყაჩაღს. ამ იმედით მარშანიამ დაიგო ნაბაღი მიწაზე. ცხენს აღვირი კისერზე გადაუდო, ლაგამი პირიდან მოაძრო და ოღნავი ხელის კვრით ბალახების კენ უბიძგა. მისმა ამხანაგებმაიც მას მიბაძეს და ხმაამოულებლად ნაბღბში გაეხვიენ. მალე პაგარა მინდორი დაღლილი ადამიანების არეულმა ხვრინვამ მოიცვა. არ ეძინებოდა მხოლოდ მარშანიას. მან ამოიჩემა ცალგემლის მთის წვერზე მოკიაფე ვარსკვლავი და თვალს არ ამოერებდა მას. მისი ფიქრები შორს მიდიოდნენ. გაახსენდა როგორ გაჰყვა ერთხელ საოგომანიში მის მეგობარ გყვისს შემსყიდველ ალი ბეის და სკამბოლის ბაზარზე როგორი განცვიფრებით უყურებდნენ მას ჩადრმოსხმული თურქი ქალები. ალბათ უკვირდათ აფხაზურ ყაბალახმთხვეული ახმაზის გამოჩენა და მისი გაკვირვებული მზერა. შემდეგ მისი ფიქრები მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა. გაახსენდა ბავშვობა, სიჭაბუკე და პირველი ავკაცობა, როდესაც ძიხვას მთაზე მეჯოგეებს პირუტყვი დაუხოცა სრულად უმიზეზოა. თვალწეს, ერთი მეორის მიყოლებით წარმოადგა მის მიერ ოსმალეთში გაყიდული ადამიანები. ცრემლადღალ ვრილი შავთვალწარბა გოგონები, რომლებიც უნაგირზე ლერწამივით იზნიქებოდნენ, თმაქოჩორა ბიჭუნები, რომელთაც ის გამრთობი „ბიძია“ ეგონათ, ახალგაზრდა ვაჟები, რომლებიც ვაჟკაცურად იგანდნენ ძალმონადეობას და მხოლოდ გემზე ასვლის წინ ეფუხვებად ქცეულნი, მიწას ფხატვინდნენ, თოკებს კბილებით ღრღნიდნენ და ბოლოს თურქული მათრახის შხუილში უძღურდებოდნენ და ჭუჭყიან გემბანზე დამსობილებს პირიდან სისხლი სკონავდათ. ყველა ამის გახსენებაზე კუჭს გააერყოლა, მაგრამ როცა გაახსენდა ოქროთი და ვერცხლით, ძვირფასი ნივთებით სავსე სახლი, სახებზე ღიმილმა გადაურბინა და გაიფიქრა: „-ხვალაც კარგად მოვითბობ ხელს. ამბობენ გიერგ გელოვანს ლამაზი ასული ჰყავს ჩვაბე ლახამულაში და იქნებ აფხაზთა მთავრის მადლობაც დავიმსახურო“.

უცებ ცალგმილის ვარსკვლავი მთის წვერს მიეფარა, კაშკაშა მთვარე ჰაპკვირის ქედზე გადაეყუდა, ირგვლივ უფრო დაბხელდა. მარშანიას ფიქრები თითქოს შავი ზღვის უფსკრულში ჩაიძირნენ და მალე ყაჩაღმა ხვრინვა ამოუშვა.

მოწმენდილ ცაზე მეხის გაგარდნას ჰგავდა ბუგაშერების კოშკის გრიალი. კუჭს ეგონა ჰაპკვირისა და ძიხვას მთები ერთად თუ ინგროდნენ. ღემღერი და ლაშხრაში თითქოს წამით შეერთდნენ, ერთიმეორეს დაეფუშნენ და ლოღების გასაწრთხველად გაღაფქიდნენ, ხოლო თოფის გასროლის ექომ კილეთიც შეიამხანაგა თითქოს ყველა სვანს ერთად ჩამოესვას მოვერცხლილ ჩახმახებზე ხელი. უცხო ქვეყანაში მოსული ავი სგუმრები ფეხზე დადგნენ, აიმრიზენ, განთიადის ბინდ-ბუნდს გულისყური მაიაყრეს და იარაღს ხელი სგაცეს.

გვიანლა იყო !

ხოღარის, მუთრის, საღგერისა და ყველა მხრიდან აგყდა თოფების ისეთი გახშირებული სროლა, თითქოს ჯოჯოხეთის მაშხალებს მიწის ზედაპირზე ამოეხეთქოთ და იქ დაეწყოთ ერთად როკვა. თოფების ლულებიდან გამოვარდნილი გრძელი ენები ცეცხლოვანი გველებივით იკლაკნებოდნენ, ხოლო ტყვიების ზუმუნისაგან დამფრთხალი ყაჩაღების ცხენები ყალყზე ღვებოდნენ და ველურად ჭიხინებდ ნენ.

საქმე იმაში იყო, რომ სანადიროდ აღრე გასული ორი ლახამუელი გზად გავლისას თავს დაადგა მარშანიას და მის ამხანაგებს. ისინი სწრაფად მიხტომოდნენ ტკბილად მძინარ ადამიანებს, კარგად მიხვდნენ რა, რომ კეთილ საქმეზე არ იქნებოდნენ მოსული, გაბრუნდნენ უკან, ფეხზე დააყენეს მთელი სოფელი და ძალიან სწრაფად შეიარაღებულმა ლახამუელებმა ალყაში მოაჭიყეს დაუპაგიჟებელი სგუმრები. კუჭმა თავის დაბნეულ ამხანაგებს სწრაფად მოუყარა თავი. რამდენიც შეიძლეს ცხენები დაიჭირეს. მარშანია მოახტა თავის ცხენს და გაქუსლა იმ მხრისაკენ, საიდანაც მოვიდნენ. მას იმედი ჰქონდა, რომ თავს დააღწევდა ხიფათს, მაგრამ უკვე გვიან იყო?

გყვიამ ჯერ მხარი გაკენწლა, შემდეგ ყურთან გაუბზუნა, ხოლო მესამე ავბელითმა მარშანიას ბარბაყში გაუარა და ცხენიდან გადმოაგდო.მძიმე მღართანი მოადინა ახმაზმა მიწაზე და რამოდენიმე ხანს გაუნძრევლად დარჩა, მაგრამ მის წამით ჩაბნელებულ გონებას ისევ დაუბრუნდა ოღნავი ნათელი და თვალწინ დაუყენა წამებით სიკვდილის სამიხელი სურათი, რომელიც მას მოელოდა თუ ხელში ჩაუვარდებოდა ლახამუელებს, რომლებისთ ვისაც მას მრავალი წყენა ჰქონდა მიყენებული. მის გონებაში აღელდნენ, აზვირთდნენ და აიმღვრენ შამის, გაბრაზებისა და ლაჩრული თავდაცვის ინსტიქტი (გრძნობა). მან ერთხელ კიდეე გადაჰჭრა თვალი შეგაკების ადგილს და კარგად მიხვდა, რომ მისი და მისი ამხანაგების ბედი გადაწყვეტილი იყო. მარშანიას არ სურდა ბედს დამორჩილებოდა და ამიგომ ხელების დახმარებით გველივით ათირთია ტანი და მახლობელი ბუჩქნარისაკენ გაცურდა.სამიხელი ტკივილი უსერავდა სხეულს, მაგრამ კუჭი ტუჩებს იკვნეტდა და ყურს არ უგდებდა დამგვრეული ძელების ყრუ ტკაცანს, ხოლო ჭრილობიდან გადმომჩქეფარე სისხლი ოღნავ გულს ურევდა და უსუსტებდა. არც ერთხელ არ შეჩერდა კუჭი მანამ, სანამ ხშირ ჯაგებში არ შევიდა და იქ საიმედოდ არ მიეფარა მალალ ბალახსა და ეკალ-ბარღბში. აქ კი დაფიქრდა მარშანია.მიმისაგან ის საკმაოდ შორს გაფიცებულყო და ამის გამო ვერ ხედავდა ბრძოლის ადგილს, მაგრამ იქიდან მომავალი ხმაურის მიხედვით გრძნობდა, რომ მისი ამხანაგები ან ყველა მკვლარი იყვნენ და ან გყვედ იყვნენ ჩაგლებულნი, რასაც მოწმობდა ის გარემოება, რომ თოფების სროლა შეწყდა და მხოლოდ გამარჯვებულ ლახამუელების გადაძახილი ესმოდა. რომელიდაც ხმა ეკითხებოდა მეორეს:- „იერვალე ქა აგვენადხ ჯიხალდეს ი ოთინამდ-მაუ შეუკვაროქვა“.

„-ჯგურავ ბოგემლო ამქეა ღერ ათიქენივე ჰელუქავ ნამე ღემეგ ხაგ, მარე ეჯღაი კი ავისეღლდედ“. კუჭმა იცოდა სვანური სიტყვები და ამიგომ ტანში გააქრქოლა ამ საუბრის მოსმენისას. ის როგორც ხელიკი ისე შეძგრა ბუჩქებში და იქ მიეკრა მიწას. თანაც თვალებს ნადირივით აცეცებდა და ყოველ ფოთლის შერხევაზე თავს ისე გრძნობდა, როგორც სასაკალოდან გაქცეული და ტყეში მუფარებული ქათამი. იარაღი ხანჯლის გარდა არაფერი შერჩენოდა. თოფი ცხენიდან გადმოვარდნისას დაუეგარდა, ღამბაჩა ხოხვისას გამძვრალიყო ქამრიდან და დაკარგულიყო. რა იცოდა მარშანიამ, რომ ღამბაჩის სკამბოლური მოოქროვილი ტარი მისგან რამოდენიმე მეტრზე ბზინავდა ბალახენში, მაგრამ მარშანიას თავის გადარჩენის გარდა არაფერი ახსოვდა და თავის გადასარჩენად არაფერს დაიმუერებდა. მას გაახსენდა, რომ მხარიღლივ შემოხვეული ჰქონდა თეთრი ყაბალახი, რომელიც მისმა საყვარელმა, აფხაზეთის მთავრის მსახურმა ქალმა მშვენიერმა ეხაშმა აჩუქა და მოუქარგა. დაჭრილმა მოიხსნა ყაბალახი და მისუსტებული, მაგრამ გამოცდილი ხელებით მაგრად შემოიკრა ბარბაყზე. წუთით მან გონი დაკარგა ტკივილისაგან და არ გრძნობდა, თუ როგორ შეიკრიბნენ ძვლის დამსხვრეული ნაწილები და რაღაც ბედად ჩაჯნენ თავის ადგილზე. როგორ დაესხა ცივი ოფლი და ანგარიშშიუცემლად როგორ იმშრალებდა ჩოხის განიერი სახელოთი. მარშანიას არ ახსოვდა, მაგრამ ეკლესიის მარის ხმაძ, მრისხანე და გაბმულმა გუგუნმა გამოაფხიზლა. ლახამუელები წაუსტოყვნენ და ალბათ სასოფლო ყრილობაზე უნდა გაერჩიათ მომხლარი ამბავი და დაესაჯათ გყევები. კუჭმა იფიქრა, რომ ლახამუელები გამოტეხდნენ მის რომელიმე ამხანაგს, ძებნას განაახლებდნენ და მას იპოვიდნენ. ამიგომ მან სწრაფად მიიღო გადაწყვეტილება : ერთად-ერთი დასამალავი ადგილი იყო მისთვის ჰაპკვირის მთა. ყველა სხვა მხარე საფრთხეს უქაღდა. თუ ის მოახერხებდა მთაზე გადასვლას, შეეძლო ყუფრელის ღელეში ჩაცოცხებულიყო და იქ რაიმე მამველს წაწყდომოდა. მას გაგონილი ჰქონდა, რომ ჰაპკვირის გადაღმა ცხოვრობდა ძლიერი და მრავალრიცხოვანი ოჯახი, რომელიც ლახამულას მტრობდა და მარშანია იმედოვნებდა, რომ იმის სახით ის კეთილ მასპინძელს იმოვიდა როცა გადასცემდა, რომ ლახამუელებთან ჩხუბში იყო დაჭრილი, მაგრამ რა იცოდა მარშანიამ, რომ მალაღია ჰაპკვირი, დამრეცია მისი ფერდობები და ჯანმრთელი კაცისთვისაც დამქანცველია მისი გადალახვა, არა თუ ბარბაყნაგყვიარ და ძვლებდამსხვრეულისათვის.

ბაზრძ. ბჰ. 9.

საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებების დარგების განვითარების მიზნით „იპარისის მაცნე“ მკითხველებთან და ავტორებთან

წინასაბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებების დარგების განვითარების მიზნით „იპარისის მაცნე“ მკითხველებთან და ავტორებთან თემაზე: „გაზეთის როლი თანამედროვე საზოგადოებაში“, რომელიც



შედეგად მუშაობის სამხატვრო გალერეის საგამოფენო დარბაზში.

ლონისძეებმა ამჟამად დროს შედეგად ჩვენი მკითხველისა და ავტორის, სამხატვრო მკვიდრის ქალბატონ თინა ლაცაბიძის წიგნის „გულის მუზეუმი“ პრეზენტაცია, რომელიც „ეგრისის მაცნეს“ რედაქციაში გამოიცა.

გაზეთი უკვე 25 წელია ემსახურება სამეცნიერო რეგიონს და ამ ხნის მანძილზე მას უამრავი მკითხველი, მხარდამჭერი, თანამოაზრე, თანამოქალაქე ყავს, რომლებიც დიდი სიყვარულითა და მოწიწებით ელოდებიან ყოველი ახალი ნომრის გამოქვნიას. ღონისძიება გახსნა გაზეთის რედაქტორმა, საქართველოს დამსახურებულმა ჟურნალისტმა ნათია ჯგუშიაძემ.

დღემდე გაზეთის 500-ზე მეტი ნომერია გამოცემული, რომელიც უმრავლესობა მრავალფეროვანია, როგორც შეხვედრაზე მწერალმა და საზოგადო

ლო მოღვაწემ **ლანა გვასალიამ** აღნიშნა: „ეს შეხვედრა გარდასაქართველოს მწერალთა კავშირის და რეგიონალური გაზეთის სახელს იტოვებს. მე და ბატონმა შუკო ჯიქიამ იმ საზოგადოებას, მაღალ ინსტანციებს მივაწვდინეთ ხმა მუშაობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი „ეგრისის მაცნეს“ ამ მართალი სიგყვის, ბეჭდვითი სიგყვის, გაზეთის მნიშვნელობაზე, ვისაც ეხებოდა და ნამდვილად ეკუთვნოდა გაგება გაზეთის როლისა და მნიშვნელობის თაობაზე და რაც მთავარია, იმაზე რომ ჰქონდეს დაფინანსება, ფულადი შემოსავალი და ა.შ.

ჩვენ არ ვართ მარკეტინგულ სივრცეში და გაზეთის მიმართ პირობებს ვუყურებთ იმ კუთხით, რომ ისტორიულ გზაჯვარედინზე ბეჭდვითი სიგყვამ თავისი ფუნქცია შეასრულოს. ყველანი პროფესიონალები ბრძანდებით და დამეთანხმებით. მოგიერთი უგნურის თქმით, რა საჭიროა გაზეთი, როცა ინტერნეტ სივრცე არსებობსო. სულ სხვაა ინტერნეტი და აბსოლუტურად სხვა გაზეთი. ერთს აქვს მტკიცებითი ფუნქცია, მეორეს კი საინფორმაციო. გაზეთი აკადემიური სახით წარუდგინეთ საზოგადოებას, რომელიც არის მტკიცებითი ფორმის მხატვრული და მაღალი ღირებულების. არსებობს პრესის კანონი, რომელიც ამაზე მეტყველებს. გაზეთში, ჟურნალში დაბეჭდილ მასალებს მომავალი თაობისათვის აქვს მნიშვნელობა. გაზეთით ისინი ცხოვრებას სწავლობენ. ვიყავი გაზეთის რედაქტორი თბილისიდან დაწყებული და ვიცი რას ნიშნავს გაზეთი. ვიცი, რა ჯოჯოხეთური შრომაა საჭირო მისი გამოცემისათვის და როგორი მნიშვნელობა აქვს, ეს გაზეთი რამხელა მაგიანე მასალათ მთელი რეგიონისათვის და არა მარტო რეგიონისათვის მთელი საქართველოსთვის. გავყვანი მის 10-15 %-ს და გაოგნებული დავრჩი, ისეთი მასალები და ავტორები ვიხილე, რომელთაც ვერსად ნახავთ, ესაა ჩვენი ქვეყნის, ჩვენი სამშობლოს კორიფეები, რომლებიც ქმნიდნენ ჩვენს ისტორიას. მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ყველაზე უფრო ეს პერიოდული პრესა გახდა მოწინავე იმ მოვლენების პოლიტიკურ-სოციალური შემოქმედების მაღალმხატვრული მასალებისა, რომლებიც მოვიძიე ამ გაზეთში. ვალერიან საღლიანო, შახი ჯალალისთან დაწყებული, გური თოგბაია, ბორის ღვთიაძე, გივი ელიაშვილი, ალიო ქობალია, შუკო ჯიქია, ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლები, მათი შემოქმედებით. ვერც ერთი გაზეთი იმ პერიოდში ვერ დაუდგება. ეს არის ეროვნული

გაზეთი, სიმართლის მჭედი. ის იყო შემოქმედებითი, მაგრამ თავისი არსებობის მანძილზე ყოველთვის განსაზღვრული ჰქონდა პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ვექტორი. ის ბეჭდავს ყველაფერს, როგორც ვითარდება საზოგადოება, ჩვენი მწერლების და პოეტების შემოქმედებას, ლექსებს ახალგაზრდა ავტორებისა, გაიგონ თუ როგორი ზრდა მიდის იმ საზოგადოების აღმშენებელში, პოეტური ფერებისა. მასზე უფრო დიდი განძი ჩვენს რეგიონს არ გააჩნია. ნაბიჯ-ნაბიჯ იჭედებოდა, ნელ-ნელა შენდებოდა და ამჟამად ეს გაზეთი. მოგიერთი ვერ ითავისებს ამ გაზეთის მნიშვნელობას და ვერ გავექცევით ამ ადამიანებსაც. ამიტომ უნდა ავუსხნათ თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ გაზეთს.

ანგონ ჩეხი გვევლინებათ, ამ გაზეთის ძალიან ბევრი მასალა აქვს მასზე დაბეჭდილი. ბატონი ანგონის დასაყრდენი იყო ეს გაზეთი, ბევრის დასაყრდენი იყო, ვინაიდან ის იყო სანდო და მას ენდობოდნენ. ყოველთვის კარგად მახსენდება დიდი პატივით რომ უღებოდნენ ამ ძვირფას გაზეთს. მუგდის ხმა მეფის ხმა მთელი რეგიონისა, გამაფალი ხმა ყველა გაზეთისა, ყველა სურთქვას შეწყვეტს, ვინაიდან ამ გაზეთით სურთქვას ყველა, მთელი რეგიონი. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ამ გაზეთმა გააგრძელოს ფუნქციონირება. ბევრი თქვენგანი ამ გაზეთიდან მოდისარტ. გაზეთი იმიტომაა აუცილებელი, რომ ერთად არის ყველაფერი. წიგნი სულ სხვა ბედნიერებაა, მაგრამ გაზეთი მნიშვნელოვანია. ჩვენ გვყავს ახალგაზრდები, უნიჭიერები შემოქმედები. როცა აცნობთ ახალგაზრდას საზოგადოებას მათ საკუთარი ორი ლექსი უნდა წაიკითხონ და სამი სხვისი. ეს აუცილებლად უნდა გავაკეთოთ, ვინც შემოქმედია მათთან ასეთი ფრანგული წესი უნდა შემოვიდეთ. ჩვენსას ორს და მისას სამს წავაკითხებთ. მოგიერთები საკუთარი ნაწერის გარდა სხვისას არაფერს კითხულობენ. ხშირ შემთხვევაში საკუთარიც ავიწყლებათ. მწერლისათვის არ უნდა იყოს საყვარელი რომანი. ერთია ჩვენი პრობლემა, უნდა გადავარჩინოთ ქართული სიგყვა, ქართული ლექსი, ქართული გაზეთი და ამ შეხვედრით დავიწყოთ...

რაც შეეხება თინა ლაცაბიძის წიგნის პრეზენტაციას, მისი ჯვარცმული შემოქმედებიდან გამომდინარე



ვაკვირდები მის შემოქმედებას, მომეცა საშუალება მის პოეზიას უკეთ გავცნობოდი. ეს ქალბატონი არის იმ კუთხიდან, რომელიც დაკარგული გვაქვს. იმ კუთხის შიგნის გამოძახილი, რომელსაც დაკარგვა არ უწერია. გადარჩენა ამ საოცარი კუთხისა. თამარაშენზე დიდი სცენარი მაქვს. ეს უნიკალური იმერული შგო, რომელიც ჩასახლდა თამარაშენში ქურთაში მათ მეტყველებასაც ეგყობა კუთხის მეგავლენა. ეს ხმა არის ხალხის ხმა, უკვე გადარჩენილი, ხმა კაჭკაჭისა. არსად არ არის ისეთი ხმა. იქაური ხალხი, მწერლები რომ სწერენ ისე ლამაზად ვერ გამოთქვამთ, ვერ მოუწვეთ სიგყვას. იმერული სისხლარტე გენეტიკაშია, იმ პუბლიცისტს მინდა ხაზი გაუსვა, მაგარი პუბლიცისტია. სხვანაირი მიმართულება მივეცემდი ამას. თავისი მიმართულება უნდა მისცე ყველაფერს. იქ არის კლასიკური მიმართულება. მთლიანობაში არის ძვირფასი წიგნი. ნიჭიერი, კარგი შემოქმედი მწერალია, იცის წერა. მაგარი შემოქმედი, აქვს მაგარი კალამი თქვენ წინ დაუდევით თქვენს სიგყვას, ყოველთვის ნუ ფრთხილობთ, უფრო გაბეულად. ღრმად ჩავეძიე თქვენს მეტაფორებს. როცა ვკითხულობ ავტორებს, ძალიან ბევრი წერას ნაცვალსახელებით იწყებს. ეს ქალბატონი თინას შემოქმედებაში არ არის. ხმამაღლა შემიძლია ვთქვა, რომ ადგილი აქვს ლამაზ შემოქმედებას, არც ერთი მოპარული სიგყვა არ არის. ეს არის კლასიკური, სინდისიერი მდგომარეობა მწერლობისაღმდეგ, როგორი საინტერესო რითმები აქვს, რომელიც მნიშვნელოვანია პოეზიაში. მახვილებს აკეთებს ალიგერაციის გარეშე. ეს ქართლის დამსახურებაა. თუშშივილების პოეზია მაგონდება. მაგონდება მეგრული პოეზია. მეგრულში არის სისხლარტე, ლამაზად მიდის დამდგომლობით. მასში შესვლას სტრუქტურის შორის დამაბნია. ამას გურამ გოგიაშვილი იმ კუთხის სასიქადლო ადამიანი აკეთებდა. იმისთანა მექართულე საქართველოში არ მეგულება. ოთარ ჩხეიძე დიდი მოქართულეა, ის აკეთებს ასე. ნაცვალსახელს არ ხმარობს მშნათა

შორის... გაოგნებული დავრჩი. ქელს ვიხრი თქვენი შემოქმედების წინაშე, მინდა რომ ღრმად გავიცნოთ.

ასევე ძალიან საინტერესო იყო დეაწლმოსილი საზოგადო მოღვაწის, საზოგადოება „მუგდისელების“ თავმჯდომარის **მურმან ნაჭყეაბიას** აზრი, რომელსაც ისევე როგორც ლაშა გვევასალიას დიდი როლი მიუძღვის ამ გაზეთის შენარჩუნებასა და გადარჩენაში: „სრულიად ვეთანხმები იმ აზრს, რომ ბეჭდვით მედიას კომპიუტერული ქსელი ვერ შეცვლის. ამას ვლავრაქობ დიდი ხანია. ეს არის ჩემი კრედიტ. ბეჭდვითი მედია სულ სხვა სფეროა. ინტერნეტში რომ დებენ სიგყვებს მიუღებელია, ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. წარსულს არ მივივლი, მაგრამ მის გარეშე აწმყო არ იქნებოდა. იცით რა, გაზეთი რომ გამოდის ეს ენის შენახვაა, ენის დაცვაა. ჩვენ თუ არ დავიცავთ ჩვენი ენა, არავინ არ დავცავს. მრავალუკუნოვანია ჩვენი „ეგრისის მაცნე“. ჩვენ დავსვით ხელისუფლების წინაშე საკითხი გაზეთის გამოცემისათვის ხელი რომ წაშველებინათ, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების პრეროგატივაა. ბევრი კარგი საინტერესო აქტუალური ღონისძიებები გარდასა და ჩვენი საზოგადოება ამაზე ინფორმირებული არ არის. ამ გაზეთის დიდი დატვირთვა აქვს, კულტურაა დიდი, კორექტირებული მდგომარეობა საჭირო ჩვენი მომავალი თაობის მიმართ, რომელიც დღესაც მიმდინარე აქტუალურ პრობლემად, რაც გაზეთმა უნდა გადაჭრას. ეს არის პატრიოტული სულისკვეთების გაზეთი, ცხოვრობს ხალხის ცხოვრებით. მე მას ცოცხალს ვეძახი. მივესალმები დღევანდელ ღონისძიებას, „საზოგადოება მუგდისელები“ თქვენს გვერდითაა.

საზოგადო მოღვაწემ **ვაჟა ფიფია** ასე შეაფასა გაზეთის მუშაობა: გაზეთი „ეგრისის მაცნე“ საჭიროებს დახმარებასა და ყურადღებას ხელისუფლებიდან. მას უნდა მიეცეს ბაზა, საშუალო შესაფერისი ადგილი და რაც მთავარია დაფინანსება. ჩემი აზრით, რეგიონის სხვადასხვა რაიონების მუნიციპალიტეტებმა რაღაც უნდა გაიღონ, ჩარიცხონ გარკვეული თანხა, გაზეთმა რომ იარსებოს. ქალბატონი ნათიას დამსახურებაა დღემდე რომ არსებობს შეუძლებელი შეძლო რომ

შენარჩუნა ჩვენივე საჭირო გაზეთი. კარგი იქნება ჩვენც დავეხმაროთ ამ გაზეთის გამოცემას.

საზოგადოება მუგდისელების თავმჯდომარის მოადგილე **თემურ კემულარია**: ეს გაზეთი არის როგორც ნათელი, თბილი წყარო ამ ცივ სამყაროში, როგორც ხიდი ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის. უნდა გამოიცეს დიდი გირაჟით და ყველგან უნდა დარიგდეს, სასურველია ეს გაზეთი იყოს ფერადი.

ლადო ქირია ჟურნალისტი ფელერაციის სახელით: ძალიან ძნელი პერიოდი იყო 1998 წელი, როცა ეს გაზეთი გამოიცა. ამ გაზეთით ჩვენი მოსახლეობა იგებდა, თუ რა ხდებოდა ენგურს გაღმა. მაღლობა ნათიას, კარგი ჟურნალისტი. მას აუცილებლად სჭირდება განსაკუთრებული თანადგომა. გონიერი გაზეთია და ჰყავს გონიერი მითხველი. ვიდექი, ვიდექი და ვიქნები თქვენს გვერდით ყოველთვის, ძვირფასო ეგრისელებო.

პოეტი **ლამიზა ფირცხალავა**: მე და ქალბატონ ნათიას დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს. კარგად ვიცნობ მას. მახსენდება მასთან პირველი შეხვედრა ერთ-ერთი მრავალგზიანი გაზეთის რედაქტორი რომ ვიყავი. დაუვიწყარია ჩემთვის ის პერიოდი და გამიჩნდა სურვილი მეგობრები ვყოფილიყავით და გავხდით კიდევ. მას უყვარს თავისი საქმე- გაზეთი და ის დებს თავის სულს ამაში. რასაც ვაკეთებდი, მინდოდა ყველაფერი ყოფილიყო იდეალურად კარგი. „ეგრისის მაცნე“ ხილია მუგდის ცხოვრებასა და ადამიანების ცხოვრებას შუა გადებული ხილი. რაც შეეხება ხელისუფალთ, უნდა მოიცალონ სულიერებისათვის, ამ დიდებული საქმისათვის, მიხედონ კულტურას. მეტი ყურადღება მწერლობას. ქალაქში ყოფილიყო ცოცხალი ლიტერატურა. მე ამას ვახსენებდი.

ეროვნული მოძრაობის სახელით **ვახტანგ (ლთი) ქობალია**: ძალიან მიხარია ხალხს,



პიროვნული პიროვნული * * * * * პიროვნული პიროვნული * * * * *

* * *

როგორც სწორად შეათვლიერა უცნობი და მისკენ ღიჯი ნაბიჯით წავიდა. ის ღარწმუნდა, რომ სამგროდ მოსული, ოჯახში სკამზე არ წამოწვებოდა და ერთბაშად დამშვიდდა. მან უცნობის სვანურად რამოდენიმე შეკითხვა მისცა და რადგანაც პასუხი ვერ მიიღო კიდევ ერთხელ სცადა: „-, იარი ხი?“ რაზეც უცნობმა სმადაბლა და მგერველი კილოთი უპასუხა: „-, მი ხი კუჭ აფხაზ“ და დაუმატა: „-, რომან ხვია? რომან ხვია უპასუხა რომანმა და სწორად გაერკვა მდგომარეობაში. დიან, მას კარგად ჰქონდა გავიწყობა კუჭ მარშანის სახელი, მისი ავკაცობა, დაუნდობლობა და რაც მთავარია ის, რომ ცუდ საქმეებში კუჭის გამოყენება არ იყო ძნელი საქმე. მან სწორად გამოკითხა სკუმარს თავგადასავალი და როდესაც გაიგო, რომ დამსხვრეული ბარძაყი ლახამულელის ნასროლით იყო, რამოდენიმე სისხლის ამღვლელები სიგყვა უთხრა ახმახს და ბოლო თავისი ცეცხლიც ვერ დაძალა:

„-, მაგ ძალისშვილებს მეც არ ვუმაღლი, ჩემი ძმა ბეჭირბის ოჯახი მომისპეს, მაგრამ ვფიცავ ჯანყეთის სულს ერთ დღეს მაგათ ღორის ტილებივით გავსრეს“.

ამის გამგონე მარშანია სიხარულისაგან წამოიწოდა და რომ ტკივილს თავისი არ ექნა, წამოხტებოდა. მან ალუთქვა რომანს, რომ თუ ახლა გამოჯანმრთელდებოდა წავიდოდა აფხაზეთს, მოიყვანდა მთელს ჯარს და ლახამულას ცეცხლს მისცემდა. ამაზე რომანმა უპასუხა, რომ დიხეს ოსტაგობა მკურნალობაში შეუღარებელია და რომ ის განკურნებულ იქნება.

ამასობაში დიხემ შემოიგანა დანაყილი ბალახები, დაუძახა თავის ქალიშვილს გულიშხანს და საქმეს შეუღდა.

როგორც კი გულიშხანი ახლოს მოვიდა, მარშანიამ იდაყვებზე წამოიწია და კარგა ხანს ქვის ლოდივით უძრავი დარჩა, მაგრამ შეასწრო რა თვალი რომანს, რომელსაც ეს არ ესაიამოვნა, ისევე წამოწვა და უნიოდ წაიბრგყუნა დამგერული სვანურით: „-, მიშვეა გიზალს ხოჯეშ“. ამან რომანი ერთბაშად დაამშვიდა და ვერ შეინშნა თუ მარშანიას აფხაზურ ცეცხლს, როგორ დაეგყო უღმელური ფიჭვის კვარის შეკეთება.

თავმბარი დაეცა მარშანიას. მას ვერავინ შეჰვლავდა ლამაზი ქალების უნახავს, მაგრამ ნახულმა მას თავგზა აუხნია და არც კი უგრძნობა ის საშინელი ტკივილი, რომელიც მისი ბარძაყის გასწორება-დაარგებებამ მიაყენა. მხოლოდ მაშინ მოვიდა გონს, როცა მასპინძლებმა გრძელ ნაბაღზე გადაიგანეს და დიდი სიფრთხილით კომში აიგანეს, სადაც რბილ ნაბაღებზე დააწინეს, ხოლო მევიდან ყაბარდოული მაგყისის საბანი დაახურეს. რომანმა მარშანიას განისამოსო და მდიდრულად მორთული ხანჯალი რაც შერჩენოდა მისი ლოგინის პირდაპირ კედელზე დაჰკიდა, მისი ქამრიდან მოხსნილი ოქროთი საყეს.

ძვირფასი ქისა სკუმარს სასთუმალქვეშ ამოუღო, თითქოს იმის ნიშნად, რომ შენი განძი შენთან იყოსო. შემდეგ ამისა სკიერიდან ამოიღო ორი ვერცხლით მოჭედილი დატყენილი დამბაჩა და მარშანიას გვერდით კედელში გაკეთებულ ღრმულში ჩადო, თანაც დასძინა: „-, ვინც შეგაწუხოს ჩემს არ ყოფნაში, გყვია არ დამოგო, შენთან მხოლოდ მე ვივლი“.

სახლში ჩამოსულ რომანს ვაჟიშვილები შინ დახვდნენ, მაგრამ დიხეს უკვე მოესწრო მათი დამშვიდება და ისინიც მოკრძალებით მიაჩერდნენ მშობელს. რომანმა სწორად დააკლავი მათ ღეკული, ზოგი მოსახარშად ღივ ქვაბში ჩააყრევინა, ზოგიც საკუთარი ხელით გადაარჩია და ახალი დაღამებული იყო, როცა კომში მწოლი ყაჩაღი დიდი გაჭირვებით ყლაპავდა გემრიელ ნაჭრებს, ხოლო რომანი ხის „კათხით“ მოცვის არაყს აძალებდა.

სრულად მოულოდნელად ეწვია რომანს მისი ახლობელი ნათესავი გუათი ფილფანი. მაშინდებულბში გუათი რომანს ყველაზე მეტად უყვარდა და არა მარტო რომანს, გუათს ღენჯერი აფასებდა და პატივს სცემდა. მისი ვაჟკაცობა და პატიოსნება ფულად არ იყიდებოდა, ხოლო მისი სიგყვა მემობულ-ნათესავებისთვის ოქროზე ძვირად ფასობდა. გუათის მოსვლამ რომანი ისე გაახარა, რომ რამოდენიმეჯერ გადაკოცნა და კითხვები სეგყვასავით მიაყარა: თუ როგორ არიან ოჯახში, მოსავალი რას შვრება, თიბვის საქმე და სხვა ათასი, ხოლო როცა გონს მოვიდა, სახლში შეიყვანა და მარშანია წარუდგინა: „აფხაზი, ლახმულდარს ოთქანას“.

„-, ლახმულდარს მია ხეკვალდა?“ - ჰკითხა დინჯად გუათმა. რომანმა აუხსნა, თუ რისთვის იყო მარშანი ლახამულა და რა მოუვიდა. ამის გამგონე გუათის სისხლი თვალებში მოაწვა და განრისხებულმა რომანს მიახალა:

„-, მია ღრუენლო ჯემშევარს შკანია ახმვარ?! მუშგერი დე ლესეს, ე ქელი გემალს ალას ღვეშმალ ხეკვალდე!“

გუათი ცეცხლს ჰყრიდა და ამოად ცდილობდა რომანი მის დამშვიდებას, არაფერი გამოდიოდა. მთელი საღამო ბორგავდა სკუმარი. კიცხავდა მასპინძელს, რომ მარშანიასათვის არათუ თავშესაფარის მიცემა, სისხლით უნდა ემღვევებინა ლახამულელის ღალატისათვის, რომ შემდეგში ვერავის გაებელნა ავკაცობით ფეხი შემოედგა ბუნჯარსა და სწორმელდამში. დღეს ლახამულას დაარბევდა, სვალ შენ მოგდებოდა, მეგ ფარსა და ეცერს და მეელი ხომ იცი მგლობას არ მოიშლიდაო. სვანეთისა და მისი ხალხის მგრებთან მე პურს როგორ გავგეხო გუათმა და რომანის სუფრას მანამ არ მიუჯდა, სანამ

მარშანია, რომელიც ყველაფერს მიხვდა დასაძინებლად აღრე არ წავიდა. მეორე დღით გუათი აღრე ადგა, ცოტა ჰამა, ბევრი საყვედური დაგოვა და რომანს დაუბარა: „-, ბეჭირბი უსამართლოდ ექცეოდა ლახამულას, არ აძლევდა მათ მოსვენებას და მოკლეს. ასე მოეკლავდი მე, შენ და სხვა ყველას, ვინც ასეთი იქნებოდა: ლახამულელები კი ჩვენი ძმებია, სვანებია, ჩვენი და მათი პური არ გაყოფილა, უმჯელი და ლალვერი არ დაივიწყო, ხოლო ავკაცი თავის ქვეყანას დაუბრუნე, დაე მან არ დაადგას თავისი ბილწი ფეხი ჩვენს მიწაზე. თორემ სახლიდან შორს თუ ვიხილე, მერე შენ ვერაფერს უშველი. ასეთი არ მეგონე. გული მტკივა დღეიდან ამის გამო და ვერ გეგყვი თუ მალე გინახულებ. ახლა კი ლიხამელაში მივდივარ, ბექას უნდა გავყვე საჯიხეებზე. შენს საქციელს კი არ გავამხელ, რომ არ შემიძულეს შენს გამო“. დაგოვა ეს სიგყვები, აიკეცა ჩოხის კალთები, გრძელი ყირიმული მხარზე გადაიკიდა და ჰაჰკვირი უკან მოიგოვა. გონებადმღერეული რომანი დიდხანს, დიდხანს იდგა ენოში და ვერ გამოეკვედი.

გუათის წასვლის შემდეგ რომანი ცოგაოდენ სინდისს ქეჯნას განიცდიდა, მაგრამ ეს გოროში და უხიაკი გულის პაგრონი ადამიანი მალევე დამშვიდდა და არად ჩააგლო საყვარელი მამიდაშვილის სამართლიანი საყვედური.

„დაივიწყდება და მინახულებს, ფიქრობდა რომანი, ლახამულელებს კი მაშინაც არ გავუკეთებ სიკეთეს მამა დღერთმა რომ მოხოვოს შეურიგდო. ბევრის სისხლით ხელშეზღუდული რომანი სხვის უბედურებაზე ფიქრით თავს არ შეიწუხებდა და ადამიანის ჭირ-ფარამს, მის სიხარულსა და აღტაცებას, თუ მწუხარებას, მასზე განცდას თავს არ შეაწუხებდა. პატიოსანი ადამიანისათვის, სვანური-სვანისათვის დასაგმობად და შემზარავად მიჩენილ საქმეს რომანი სათაქილოდ არ მიიჩნევდა და პირიქით, მეტი სიამოვნებითაც კი სცემდა მისი ბოროტი გული ავ საქმეთა აღსრულებისას.

შინ შესვლისთანავე რომანმა სკუმარს კომკიდან უხმო, ცოლს არაყის ღოქი შეაგებინა, თვითონ კი ბასრი ღანით სხევნზე ჩამოკიდებულ ხარბის ბუჭს მომრდილი ნაჭერი ჩამოთავადა, გრძელი რკინის შამფურზე წამოაგო და ცეცხლს მიუფიცხა. მალე ხის კათხებში ჩამოსმულმა ქერი არაყმა და ცხელმა მწვადმა ორივეს ენა ამოაღგმევინა და სათქმელი ათქმევინა. მართალია სვანური მარშანიას მთლად კარგად არც ესმოდა და არც იცოდა, მაგრამ რაც ერთმა არ იცოდა, იმას მეორე ავსებდა ხელეობის ქნევით და ისეთი წამოძახილებით, რომელიც ორივესთვის გასაგები ხდებოდა. მარშანიამ აღრევე გაუგო რომანს ლახამულის სიმუღელი და ამით გათამაშებულმა სალაპარაკოდვე ეს არჩია. ის დაჰპირდა რომანი, რომ აფხაზეთიდან წამოიყვანდა მამაც და თავგზებლადებულ სახლს, ლახამულელების ნაწილს დახოცავდა, ხოლო უკეთესებს თან წაიყვანდა, რათა შემდგომ ისინი შორეულ სამუსლიმანოთი გადაეკარგა.

რომანი სიამოვნებისაგან ულვაშებს იტრებდა და ყაჩაღს მყრალ პირზე კოცნიდა. ღოქი ორიოდვეჯერ დაიცალა, ცეცხლი ჩაიღველფა. ოჯახის ყველა წევრმა ლოგინს მიაძურა, რომანი და კუჭი კი ისევ ხარბად სვამდნენ არაყს და მალე ისე გამოთვრნენ, რომ ძლიერ შესძლეს სამუფხა სუფრის გვერდზე გაწევა და გრძელ „ბანდარებზე“ წამოწოლა. მუალამე დიდი ხნის გადასული იყო, სტიმულიდან ალიონის გრილი ნიაყი უბერავდა და ჩუბარის ხშირ სოჭნარში მარტოხელა ჭოჭი საშარლად გაჰკიოდა. იყო რაღაც საერთო ავი ადამიანების ჩანაფიქრსა და ფრინველის ავიაომბასწავებელ ძახილს შორის. დილის რიერაქმა აღმოსავლეთი წითლად შეღება, გოროზგარის ფერდობებზე როჭოების კრიახი გაისმა და ნამძინარეებმა ხარხიხებმა ბლაგვი რქით მანჯად მოიფხანა დიდხანს წოლისაგან დაბუქული გვერდი, ერთხელ კიდევ მოაქრო თვალი კავკასიონის ვერცხლად დაყრილ ჭაღარას და შემდეგ დინჯად მოკეხიდა მთის ნოყიერი და მაღლიანი ბაღახი.

...მარშანია სრულიად მომჯობინდა. მას უკვე თავისუფლად შეეძლო გრძელი და მძიმე გზის გაკლა და მართალია რომანის სახლიდან წასვლა და სიკვდილი ერთ საქმელ მიაჩნდა, უკვე ვეღარ ხელავდა მიმეზს, რათა მასპინძლის თვალში თავისი დარჩენა გაემართლებინა. მთელი ამ დროის მანძილზე სხვებისთვის შეუმჩნევლად კუჭი გულიშხანს ეგრფოდა, მისი ცეცხლით იწვოდა და ყოველხანი რად ცდილობდა მისი გული მოეგო, მაგრამ ყოველი ცდა ამაო იყო და მართალია ყაჩაღის გრფობას მისდამი ის არავის უშხელდა, მაგრამ აბეზარი სკუმარი თავისგან ღირსეულ სიმორენე ჰყავდა და აგრძნობინებდა, რომ უმაღ როკვარი და ღაჰილი ერთერთის დაუჯახებოდნენ, ვიდრე ასეთი რამ მოხდებოდა. მართალია მამის სიყვარულს ის თავის უპირველეს მოვალეობად მისცემდა და გრძნობდა მის წინაშე უფრო შეუცნობი შიშს, ვიდრე მშობლიურ სიყვარულს, მაგრამ იცოდა რომ მამამისის ხანგრძლივი და ამდენი სასაუბრო სკუმარი კარგი კაცი არ იქნებოდა და მარშანიასი ისე ეძინოდა ჩუმად, როგორც უღმელის ღათვებისა.

გალიდა დრო, გაიარა უხვთოვლიანმა და ციემა ზამთარმა, მისწყდა გოროზგარისა და კილეის მთებიდან მგავების ყრუ ღუღუნე, გყე შეიფოთლა, ფიჭვებმა მწვენი გიორგები გამოიხსეს, ხოლო ნაირ-ნაირმა ჩიგებმა ყუფურლის ჭალა ათასი ჰანგით გაავსეს. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი უღმელის გყეების ბინადარმა შავმა კოდალამ, რომელიც ნისკარტს ხუროს ჩაქუჩივით უკაკუნებდა საუკუნოვან ფიჭვებს და გაბმულად გაჰკიოდა „კრა,კრა,კრა,კრას“ დილა-საღამოობით უდრან გყეში დათვები დაბაჯბაჯებდნენ და შარშანდელ წიწიბოსა და რკოს დახარბებულნი მიწაში ღორებივით იჩიქნებოდნენ. მთიდან მოწანწკარე ნაკადულები და წყაროები ვეებერთელა ღელეებად იქნენ და კლდის ნაპრალებში

რძის მდინარეებივით მოხსრიალენ და ენ. უღმელის ყანებში ქერი, ფეგვი და სიმინდი ღათიესა, ხოლო ნაშამთრალი პირუტყვი უხვად დარჩენილ ნამქლვარს დაესია და ღამეც გყეში რჩებოდა. („ნამქლვარი“- შემოღვამის წივწივა ბალახი, თოვლქვეშ შენახული.)

მარშანიას უღმელში დარჩენას ბოლო ელბოდა, ის უნდა წასულიყო, მაგრამ მიდიოდა ისე, რომ ერთ ჭრილობა მორჩენილს თან გულის საშინელი წყლული აეკიდა და თავის უღმელში მოსვლის დროს სწყევლიდა.

ის კი, ვის გამოც ყაჩაღს მოსვენება დაეკარგა და ვისი სიყვარულის ზღვაშიც იხრჩობოდა, ამას თითქოს ვერც ამჩნევდა. მარშანიას მომწუსხველ მშერას მიამიტი გულგრილობით უყურებდა და თავის შევლას თვალეხს უმაღვე სხვა საგნებზე გადაიგახდა. მას დიდი ხანია მობერდა ამ ახმახის კითხვადქცეული თვალების შეხედვა და სკუმართ მოყვარეობის ადათის პატივისცემა რომ არა, ალბათ შესთხოვდა კიდევ მამას აბეზარი სკუმრის სახლიდან გაგდებას.

ერთი ჭექა-ქუხილიან ღამის მეორე დილას მარშანია ალიონზე ადგა, გააღვიძა მასპინძელი და გაღაწყვეტილებამიღებული კაცის კილოთი მიმართა მას: „ძმაო რომან! ჩემს სიცოცხლეს შენ და შენს ოჯახს უნდა ვუმაღლოდე. თქვენ შემოფარეთ და გადამარჩინეთ სიკვდილს, მივიღილით დაჭრილს, როგორც ყველაზემ ახლობელს, ვფიცავ მამა-პაპათა საუფავეებს, რომ თქვენი ოჯახიდან წასვლა სიკვდილივით მეზარება, მაგრამ ახლა კი დროა დაგემშვიდობოთ და გითხრათ, რომ თუ გავალწვი აფხაზეთს და ცოცხალი დავრჩი, უეჭველად გინახულებ ისევ და ვეცდები თქვენი ჩემდამი ამდენი ზრუნვა კარგად გიმღოთ“. ამის შემდეგ მან მოითხოვა თავისი ხანჯალი, უარს ამბობდა ქისის წაღებაზე, მაგრამ რომანმა საკუთარი ხელით ჩაუღო ის ქამარში, ჩოხის კალთები აიკეცა და ყველასთან გამომშვიდობება იწყო. რომანი სახლში შევიდა, კედლიდან ძველი მოვერცხლილი თოფი ჩამოიღო, ნაბღის ბუდეში ჩადო და გარეთ გამოსულმა მარშანიას მიმართა: „შენი გზა ხიფათით საფსეა, ვიდრე სახლში მიხვიდოდე ყოველი ბუჩქიდან საფრთხე გემუქრება. აჰა, ღაიჭი, გყვია კარგად მოაქვს, ბევრი ჯიხვი და არჩვი მყავს მოკლული ამ თოფით, თუ ოდესმე აქ მოსვლა მოგინდეს, უკანვე წამომიდე, თუ არა და როგორც გინდოდეს ისე მოექეც, მამაჩემის დანაგოვარია. კუჭმა რიგრიგობით აკოცა თოფსა და რომანს, ერთი წამით მშერა ისევ გულიშხანზე შეაჩერა, თითქოს მისი სამუდამო დამახსოვრება უნდაო, სწორად დალუნა თავი, ძუნძულით დაადგა უღმელის დაღმართს და ისეთი ჩქარი ნაბიჯით გასწია, თითქოს ვერ ამჩნევდა რომანის ორ ვაჟს, რომლებიც მას უკან მისდევდნენ საგზალმოკლდე ბული, რათა ის ბენდუბის მინდვრამდე მიეცილე ბინათ, საიდანაც მარშანიამ კარგად იცოდა ყველა ბილიკი აფხაზეთში დასაბრუნებლად.

* * *

ავგისგოს ნისლიანი ღამე იყო. ხშირი გყით ჩამობურულ სვანეთის ხეობებს შექუფრული ცა მრისხანედ გადაფოფრებოდა, ჭექა-ქუხილის ღრიალით აყრუებდა და ელვის მათრახებს გამეგებით უხათქუნებდა. აბობოქრებული ენგური დაფეთებული ეშმაკივით გარბოდა ბარისაკენ, კლდის კალაპოტში ამგერევდა და მუსრავდა ყოველივეს რაც მის გალახად ქცეულ ნაკადში მოხვდებოდა და მიაქანებდა დასავლეთისაკენ. ყველა ფრინველსა და ცხოველს მოენახა თავშესაფარი ამ მრისხანე ღამეს. თვით მშვიერი მგელიც კი ბუნების ამ ბობოქრობის დროს სამაღვამი და იშვიათად გამოდის გარეთ, ავდრის სათრევენებლად.

ასეთი ავდარი არ არის ყოველთვის ერთნაირი, ის დიდხანს არ გრძელდება, მაგრამ მოკლე ხნის მანძილზეც კი მრწოლას გვრის ნადირს და ხშირად ადამიანსაც.

ხუმურელის დაბურული გყის ბილიკზე ნელა მოძრაობდა ადამიანების მოზრდილი ჯგუფი. ხშირი ელვის სინათლეზე აქა-იქ ანამზად გამოჩნდებოდა მათი თოფების ელვარე ლულები და მოვერცხლილი ქამარ-ხანჯალი. მარშანიამ, რომელიც წინ უძღოდა ამ რაზმს, მხოლოდ ერთმა იცოდა მიახლოებითი მანძილი იმ ადგილამდე, სადაც მიჰყავდა ისინი.

იმავე ღამეს დაესხნენ თავს რომანის ოჯახს და ამ უდრან გყეში ამოწყდა ოჯახი მომხდურების ხელით. ძლიერი წინააღმდეგობის შედეგად დაიღუპა მარშანია.

დაუმარცხელი ჩემპიონი

თამაზ ყალიჩავა



მინდა მოგახსენოთ ჩემი ბავშვობის განცდამე, ისტორიულ სინამდვილესა და იმ დიდ სიყვარულზე, რასაც განვიცდიდით მუგდილელი მოსახლეობა, ამავე დროს მინდა მოგიტხროთ დიდ სპორტსმენზე, თავისი საქმის პროფესიონალზე, ვახტანგ (გუგუ) ღარსაშვილზე, რომელიც მუდამ პირველი იყო საცხენოსნო სპორტულ შეჯიბრებებში. თქვენ წარმოიდგინეთ, მუდამ სპორტულ ფორმაში იყო და ცხენიც სპორტულ ფორმაში ჰყავდა, რომელსაც იგი დიდი შრომითა და ჯაფით აღწევდა.

ბაგონი ვახტანგი, როგორც პროფესიონალი სპორტსმენი, ამავე დროს იყო კარგი მეოჯახე, მეგობარი და შესანიშნავი მეუღლე. იყო ფიზიკურად, ასევე სულიერულად კარგი პიროვნება. ის ამბობდა: თუ გინდა გიყვარდეს შენი საქმიანობა, არ უნდა გააცდინო ერთი ვარჯიშიც კი, მუდამ დაკავებული უნდა იყო, ვარჯიშობდე დღე და ღამე, მაშინ იქნები კარგი სპორტსმენი და პროფესიონალი. ბაგონი ვახტანგის წარმატება მისი მეუღლის დამსახურებაა, ქალბაგონი ნუნუსი. კარგი ოჯახიდან იწყება სპორტსმენის წარმატება. რამხელა განცდაა სულ მუდამ პირველ ადგილზე ყოფნა სპორტულ საქმიანობაში, რასაც მთელი ქალაქი მოწიწებით შეგნებდა.

ბაგონმა ვახტანგმა პირველი გამარჯვება 13 წლის ასაკში იგება. იყო უშიშარი, დაუოკებელი სურვილის და ენერგიის მქონე. 15 წლისამ თბილისში საქართველოს პირველობა მოიპოვა, მაგრამ როგორც არასრულწლოვანი მხედარი ვერ მიიღებდა შეჯიბრებაში მონაწილეობას. ამიგომ 18 წლის სპორტსმენად მოიხსენიეს, რადგანაც ეს იყო სარისკო საცხენოსნო შეჯიბრება. ჩვენმა მწვრთნელებმა კარგად იცოდნენ ვახტანგის შესაძლებლობა და ამიგომაც გარისკეს. ბაგონი ვახტანგი წარადგინეს სამივე დოლში, მან მოიგო 1500, 2400, 5400 მეტრიანი დოლი, რაც ფანტასტიკური შედეგი იყო. ამ ფანტასტიკური შედეგის შედეგი გახლდათ მწვრთნელების სარისკო გადაწყვეტილება მის ასაკთან დაკავშირებით, ესენი იყვნენ: ბაგონები საშა ღარსაშვილი, დომენტი კანკია, კლიმენტი ხარებავა, ემელიანე ნაჭყებია და სერგო კრაინენკო. ვახტანგმა გაამართლა მათი გადაწყვეტილება და მოლოდინი. ამ დონისძიებას ესწრებოდა ყოფილი სსრკ-ს მარშალი, საცხენოსნო ფედერაციის პრეზიდენტი ბუდიონი, რომელმაც ამ დონისძიებაში გაიყნო ბაგონი ვახტანგი თავისი სამი გამარჯვებით. ბუდიონი ტრიბუნიდან ჩამოვიდა, ჩაიხუტა გამარჯვებული ვახტანგი და ასეთი სიტყვებით მიმართა: „არ გადაშენდება ისეთი ერი, როგორიც თქვენ ხართო“.

მე მაშინ ვერ კიდევ მეთხე კლასელი ვიყავი და მახსოვს ჩვენის გაგებით, ვითომ როგორ გადმოვარდა ცხენიდან ვახტანგი, როგორ მივიდა მხედრის გარეშე ცხენი პირველი, როცა გავიზარდე და მე და ვახტანგი დავმეგობრდით. შევახსენე იმ ეპიზოდის შესახებ, ვითომ ცხენიდან გადმოვარდა, ასე მითხრა ჩემი ინიციატივით გადმოვვარდი ცხენიდან, რადგანაც ცხენი მეორე ადგილზე გარბოდა და ვერ მოიგებდა გარბენს, ვინაიდან არ გაეხსნა სასუნთქი ორგანო ცხენს, ვახტანგი იძულებული შეიქმნა გადაერჩინა თავისი და ცხენის ავგორიგეტი და ამიგომ გააკეთა ეს. მოუსვა უნაგირის მორთულობას „მოსართავს“, რა დროსაც უნაგირი გადმოვრუნდა და ისე ჩანდა, თითქოს „მოსართემ“ მოუშვა, ან გაწყდა და ამის გამო გადმოვარდა. მოხდა სასწაული, ცხენმა როგორც კი სიმსუქნე იგრძნო, მოუმატა სიჩქარეს და ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა. ასეთი იყო იმ ისტორიული გარბენის მოგონება. ვახტანგი გახლდათ საქართველოს მრავალგზის გამარჯვებული, ანუ ჩემპიონი.

1951 წელს გარდებოდა ყოფილი სსრკ-ს პირველობა ცხენოსნობაში, სადაც ჩვენმა სპორტსმენებმა ეროვნულ სახეობებში პირველი ადგილი დაიკავეს, ხოლო გექნიკურ სახეობებში მესამე ადგილი. ამ ადგილების გასამტკიცებლად საჭირო იყო ბოლო დოლის მოგება. ამ დოლში საქართველოს ღირსებას იცავდა მუგდილელი ვახტანგ ღარსაშვილი თავისი „რური“-თ. ჩვენი გმირი მხედარი გაიჭრა წინ და პირველი მიისწრაფოდა ფინიშისკენ, ბოლო მოსახვევში ისე მოხდა, რომ ასე წარაფად მორბენალი „რური“ ვერ მოუხვევდა და გადაეშვებოდა ტრიბუნაზე მყოფ გულშემატკივართა რიგებში, სადაც მოხდებოდა გაუთვალისწინებელი რამ, დაშვდებოდა ბევრი ადამიანი, ჩვენი გუნდიც დაკარგავდა საპრიზო ადგილის შენარჩუნებას, ვახტანგმა მიიღო ერთადერთი და სწორი გადაწყვეტილება, მოჭიმა ალვირი, შეეცადა ცხენის სიჩქარის შემცირებას, რა დროსაც ცხენმა მიიღო გრამვა, ამის შემდეგ ის ვერ შეძლება სირბილის გაგრძელებას. მხედარმა ვახტანგმა მიიღო სწორი და ერთადერთი გადაწყვეტილება გამარჯვება რომ მოეპოვებინა, ჩამოხტა ცხენიდან, მოხსნა უნაგირი და უნაგირით ხელში პირველმა გადალახა ფინიშის ხაზი და მოიპოვა ბრწყინვალე გამარჯვება.

დებულებაში ეწერა, რომ თუ მხედარი ხელში უნაგირით გადაკვეთავდა ფინიშის ხაზს პირველი, მაშინ ის ითვლებოდა გამარჯვებულად. ეს რომ დაინახა ვახტანგისთვის ნაცნობმა ბუდიონმა, რომელიც ესწრებოდა როგორც შეჯიბრების ორგანიზატორი, ჩამოირბინა ტრიბუნიდან, მივიდა ვახტანგთან და საჩუქრად გადასცა ჯიბის საათი პირადი სახელის წარწერით. ეს საათი ინახება ვახტანგის მეუღლის ქალბაგონ ნუნუსთან სახლში. ოჯახი აპირებს ამ საათის მუგდილის სპორტის მუზეუმისათვის გადმოცემას. ასეთი იყო ჩვენი გმირი სპორტსმენის ისტორია შემოკლებით.

მე, როგორც სპორტის მუზეუმის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი როლანდ მაქაყარი, როგორც ბაგონი ვახტანგის მეგობარი და გამარჯვებების მომსწრე შემოვლივარ წინადადებით, რომ მუგდილის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდოს ბაგონი ვახტანგ ღარსაშვილის სახელი, შემდგომში ამ ლეგენდარულ პიროვნებაზე დაიწერება ვრცელი სტატია.

ძ. გუგუშვილის სპორტის მუზეუმის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი როლანდ მაქაყარი.

„მედიის მაცნე“, - 25

ხმა ღვთისა და ხმა პრისა

მეხვედრა „მედიის მაცნეს“, მიიტხველებთან და ავტორებთან

დასაწყ. ის. გვ. 2 .

სამოგალოებას რომ უყვარს ეს გაზეთი თავისი მრავალფეროვნებით და იმ დამსახურებით, რაც მან გააკეთა ჩვენთვის, განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნის ძნელბედობის ქაშს. ის სამეგრელოს ეროვნული მედროშეა. მინდა, რომ უფრო ფართო მასშტაბით გავრცელდეს. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ. მივესალმები გაზეთის რედაქტორს, შესანიშნავ ქალბაგონს, რომელმაც მძიმე გვრთი იკისრა, სიყვარულისა და ბრწყინვალე იდეების გაგრძელების მაგალითი მისცა თაობებს. ეს დიდი საქმეა, ამ გაზეთის დაფინანსებით უფრო დიდი და კეთილი საქმე გაკეთდება. ამიგომ მხარს ვუჭერ მისი დაფინანსების საკითხს.

ქართული სპორტის სახელით **როლანდ მაქაყარი**: ვისაც თავისი ქვეყანა უყვარს და ვისაც სხვანაირად არ შეუძლია ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ გაზეთმა არ შეწყვიტოს არსებობა და გააგრძელოს კეთილი საქმის კეთება. მასში ეროვნულ მოძრაობას ეხება, სიკეთესა და მომავალს. მრავალი წელია ამ გაზეთთან ვთანამშრომლობ. წლების მანძილზე უფასოდ იბეჭდებოდა ამ გაზეთში ქართული სპორტის უკვდავი ისტორია, ჩვენი სპორტსმენების საგმირო საქმიანობა, მათი დამსახურების შესახებ საქართველოში, ევროპასა და მსოფლიოში. მე ვამაყობ იმით, რომ არსებობს ეს გაზეთი და მას უძღვება ბრწყინვალე მანდილოსანი, შესანიშნავი ქურნალისტი, თავისი საქმის დიდოსტატი ქალბაგონი ნათია ჯგუშია და მე ვუსურვებ მას ყოველთვის გაეხარებინოს ჩვენი და მკითხველის გული თავისი შესანიშნავი შემოქმედებით ბითი საქმიანობით.

გაზეთი „ევრისის მაცნე“ ჩვენი ხალხის, ჩვენი ერისა და ჩვენი კუთხის სიამაყეა. მაღლობა გაზეთის, მის რედაქტორს ასეთი თავდადებისათვის.

ახალგაზრდა თაობის სახელით შალვა ქარჩავა: ამ გაზეთის თავისი სიტბო აქვს. უფრო სხვა სურნელი აქვს. აქ ისტორიაა ცხოვრების, მისი გაგრძელების. დიდი შრომა და ოფია ჩაღებული. განსაკუთრებით ჩვენთვის, ახალგაზრდებისთვისაა საჭირო მისი არსებობა. ის არის ზურგის ქარი, რომელიც გვიჩვენებს გზას მომავლისკენ. საჭიროა რომ მან ისუნთქოს, იარსებოს, კარგი იქნება რომ დაფინანსდეს, რომ გაიზარდოს, გაიფურქვინოს, რომ ვისწავლოთ ცხოვრება. ჩვენ ახალგაზრდებს კარგად გვესმის, რამდენად ძვირფასია ჩვენთვის მისი არსებობა, ამრი და მნიშვნელობა ექნება ჩვენს ცხოვრებას. ამ გაზეთის ფურცლებზე მრავალი ახალგაზრდა დაფრთხილდა, ის არის კომპასი, რომელიც გვიჩვენებს გზას მომავლისკენ. წარმატებას გისურვებთ.

მეხვედრაზე აშკარად გამოიკვეთა სხვადასხვა თაობის, უხუცესი თაობის და მომავალი თაობის საერთო აზრი, რომ გაზეთი შეუცვლელია, მას ვერასოდეს ჩაანაცვლებს ინტერნეტ სივრცე, აუცილებელია მან იარსებოს როგორც ბეჭდვითა ორგანო, რომელიც ღირსეულად ატარებს დიდი ილიას გზას პროფესიულ დონეზე.

„ევრისის მაცნე“ სამეგრელოს სიამაყეა, ბეჭდვითი სიტყვის უგვირგვინო მეფეა, ენით აუწერელია მისი დამსახურება ერისა და ხალხის წინაშე. ილიას მერე ქართველთა დიდი განმანათლებელია. მაღლიერი შთამომავლობა არასოდეს დაივიწყებს მის სიკეთეს- ისმოდ დაარბამიდან შეძახილები. ეს იყო ხმა ღვთისა და ხმა ერისა.

„მედიის მაცნე“-ს რედაქცია.



ნათქვამია „აქაც კარგი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა“ სწორედ რომ თამაზ (ხუხია) ყალიჩავა მორგებული.

22 ივლისს 80 წელი შეუსრულდებოდა, მაგრამ არ დასცალდა, 11 მაისს გარდაიცვალა. რვა ათეული წელი ვიღაცისთვის ბევრია, ვიღაცისთვის-ცოცხალი. თამაზისთვის ნამდვილად ცოცხალია, რადგან ლამაზად იცხოვრა. უხინჯოდ გაატარა ეს წლები და არავინ ჰყოლია მომღერავი. რასაც აკეთებდა და რა საქმესაც ემსახურებოდა წესიერად ასრულებდა. კაცური კაცის სახელი ჰქონდა დამკვიდრებული, როგორც იცვლიან დიდთან დიდი იყო, პაგარასთან პაგარა. მან 1960 წელს დაამთავრა ხაბუშის სამუშაო სკოლა, ორი წელი კოლმეურნეობაში იმუშავა ფიზიკურად. 1962 წელს ჩაირიცხა საქართველოს სუბგრომიკული მეურნეობის ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაში, რომელიც სოხუმში მდებარეობდა. პარალელურად ხაბუშის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში მექანიზაციის განვითარება-დანერგვას ემსახურებოდა. მან პირველმა შემოიყვანა კოლმეურნეობაში ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“, რითაც ყოველდღიურად ათი გონა ჩაის ფოთოლს აგზავნიდა ჩაის ფაბრიკაში.

1965 წელს, ჯერ კიდევ სტუდენტი მუშაობას იწყებს საქსოფელ-ტექნიკის ჩხოროწყუს განყოფილებაში მექანიზაციის დანერგვა-განვითარების ინჟინრად. მალე ახალი გექნიკის დანერგვის ინჟინრად გადაიყვანეს. 1967 წელს დაამთავრა ინსტიტუტი და ახლა უფრო სერიოზული საქმე ანდეს, გარაქის გამგედ დააწინაურეს, იქიდან სარემონტო სახელოსნოს გამგედ გადაიყვანეს. 1985 წელს კირცხის მეცხოველეობის კოლმეურნეობა-კომპლექსის ინჟინერ-მექანიზატორად დააწინაურეს. სხვადასხვა დროს არჩეული იყო სასოფლო და რაიონული საბჭოს დეპუტატად. შექმნა კარგი ოჯახი სტომატოლოგ მზიურა კვაშილავასთან ერთად და აღზარდა 3 შვილი, ყავს 6 შვილიშვილი.

თამაზ ყალიჩავას ამ მშრალ ბიოგრაფიული მონაცემების მიღმა იმალება დიდი შრომა, თავდადებული გარჯა რაიონში მექანიზაციის დანერგვა-განვითარების საქმეში. იგი უზმაუროდ ასრულებდა თავის პროფესიულ მოვალეობას. იყო კომუნიკაბელური, თბილი, იუმორით სავსე პიროვნება. მას თბილად იგონებდნენ მისი კოლეგები, მეგობრები, რაიონის ინგელიგენცია. აკი, ამიგომაც ეპყრა ბევრი ალალი ცრემლი მის ცხედარს.

უფალმა ნათელში ამყოფოს თამაზ ყალიჩავას სული.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერი, საკრებულო, ვეპარანთა კაპშირი.



ეს ლექსი ეკუთვნის მწერალ ნაპოლეონ გადელიას შვილს - ალექო გადელიას, ავით კომპანია "აფხაზეთის ხაზების" გენერალურ დირექტორს. ამჟამად ცხოვრობს თბილისში.

გვალ ნათელი

კამოლა ობოლაჲ და მის წინაპრებზე



არ დაიჭაროთ, რომ აღარა ვარ!

ბაბუა ლეონტი ობოლაძეს ნახევარ ძმა ლუკა ობოლაძე ქუთაისის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე გახლდათ, ხოლო მეორე ნახევარი ძმა, უმანგი ობოლაძე საქართველოს განათლების მინისტრის მოადგილე, რომელთანაც ახალგაზრდობის პერიოდში მეც მომიწია შეხვედრა (სამ).

ლეონტი ობოლაძე გასაბჭოებამდე გახლდათ გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის ხალხმრავალი მოსახლეობის ეკლესიის წინამძღვარი, ხოლო გასაბჭოების შემდეგ მან თითქმის მუდგომით ორგანოების დაუკითხავად მიიღო მეტად რთული და უჩვეულო გადაწყვეტილება, ერთ მშვენიერ დღეს გაიპარსა წვერი, გაიხადა ანაფორა და სოფლის საშუალო სკოლაში ითხოვა მასწავლებლის ადგილი. სოფლის სკოლის პედკოლექტივმა უსიტყვოდ დააკმაყოფილა ბატონი ლეონტის მოთხოვნა. გარეული მოღვაწეობის შემდეგ, ბატონმა ლეონტი მიიღო სახალხო მასწავლებლის წოდება, ხოლო შემდეგ დამსახურებული მოღვაწეობისათვის დაჯილდოვდა ლენინის ორდენით. ამასთან ერთად ბატონი ლეონტი ქმნის ოჯახს სოფლის მეცხოვერებელთან ფეოდოსია ყოლბაიასთან, ესეც მათი ცხოვრების შესანიშნავი გვირგვინი გამოდგა-ოჯახი იყო სიყვარულზე შექმნილი უძვირფასესი სამაგალითო ერთეული სოფლისა.

ბატონ ლეონტისა და ფეოდოსიას შეეძინათ ორი ქალიშვილი და ორი ვაჟიშვილი. უფროსი ქალიშვილი სონია ჩემი დედის ძმის ალიოშას მეუღლე გახდა,

სიმბარი

...წახელ ჩემს აივანზე ვიყავი გადამდგარი...

რა ცული ყოფილა კარგი სიმბარი?!...

თავზე დამჭყოილა მიმინო, ჩემი მეგობარი:

-სად არისო, აქ რომ სარეცხს ჰყენდა, ის ქალი...

ვერაფერი რომ ვერ ეუპასუხე... თავი დამიქნია და შეკრა კამარა...

როგორ მენატრები, ჩემო მოუსვენარო, ჩემო გვბილო და ლამაზო თამარა...

სოფელშიაც ვიყავი, ცამდე ასულიყო

ჩემს მიერ დამყნობილი, განსაკუთრებული, საადრეო მსხალი...

შენ რომ გიყვარდა, ჩემო დედიკო, ანჯაფარიძეებთან რომ ხარობდა, მუსგად ის მსხალი...

წვიმიან სოხუმში დავდიოდი, ქუჩებს ვაკვირდებოდი, მაგრამ ვეღარ ვცნობდი, სირცხვილისგან მეწვოდა თვალი...

მღვა ყოველთვის, ღვინოსავით მწყურია, მაგრამ რაგომდაც არ გავსულვარ ... და ალბათ იმიტომ, რომ აღარ არის იქ... ჩემი დიოსკურია... 10.05.2018



თან ურთიერთობის ხანა ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ფურცელია!

ცხოვრების ბოლომდე გამყვება დიდი ნინო კბილ-ცეცხლაშვილის შეგირდობის პატივი, რომელიც მერგო წილად. დღემდე ვერ ამის-სნია (გულწრფელად ვამბობ), რატომ ვყავდი დაუფარავად გამორჩეული ყურადღებით განებივრებული ამ თავისი თავისა და სხვებისადმი უმკაცრესად მომთხოვნ, უმაღლესი რანგის ფილოლოგსა და ჭეშმარიტ პედაგოგ ქალ-ბატონს?! ქალბატონ ნინოს-

უსასრულო მონაბრეა

წუთისოფელი ისეა მოწყობილი, ზოგს ერთიანად ანებივრებს, ზოგსაც ღვინიადგა გულს უსერავს და უსაშველოდ ღამთრგუნველი გვივლით ცხოვრებისათვის იმეებს. სწორედ ასეთებს მიეკუთვნებიან მზიური აფხაზეთიდან ღვინილები, რომელთათვისაც განვლილი სამი ათეული წელიწადი არ აღმოჩნდა საკმარისი გვივლის ოდნავ მაინც დაამებისთვის.... როცა შენზე ვფიქრობ..... ასე მგონია ცის კაბადონზე ცისარგველას ფერებით კ იქარგება ჩემი პაგარა და ულაშვლესი ქალაქის სახელი გ ა ლ ი. როცა შენზე ვფიქრობ.... გონების კალენდარში ჩამოიმარცვლება-ხოლმე იქ განვლილ ბედნიერ დღეთა გაუხუნარი ფურცლები. დედა, როცა შენზე ვფიქრობ..... ვგრძნობ, რომ მიუჭდება გუნება-განწყობილება და ასეთ ღროს ვიღებ პაგარა ხელჩანთას, სადაც საგულდაგულოდ მაქვს შენახული დედის, ნინო კბილცეცხლაშვილის მიერ რის ვაი-ვაგლანთი გამოგზავნილი "სამკუთხა ბარათები". თითოეული ფრამის წაკითხვის შემდეგ, ჩემი მოუსვენარი ფიქრი სცილდება საზღვრებს და წარმოსახვის სიმძაფრე მაძლევს იმის საშუალებას, ნათლად წარმოვიდგინო გალის ესა თუ ის ქუჩა, ჩვენი სახლის თითოეული კუთხე-კუნჭული, ჩვენი სკოლა.... ათასჯერ გადაკითხულს ისეთივე მძაფრი ემოცია მოაქვს, როგორც პირველ ჯერზე წაკითხვისას. შვილიშვილებისადმი მიძღვნილი ეს აკროსტიხები დედას განკების გრუსუნის ქვეშ აქვს დაწერილი: " ქართველ ქალთა დიდ წინაპრის სეხნია ხარ, ეცადე, რომ ეს სახელი დაამშვენო, თინათინის გულუხვობა არ მოგაკლდეს იდეგრძელე საქართველოს სასახელოდ, ნურასოდეს მიაგოვებ დედაფუძეს, ობლად მთენილ შენს პაწაწა ნაფეხურებს, ბებო სმირად გაიხსენე, მზის ასულო, რა ექნა გული უთქვენობას ვეღარ უძლებს, აქ ვარ მარგო, ჩემს ფიქრებთან, ჭირს ვერ ვუძლებ, უნდოდა ეს ქვეყანა, ლამაზს არ სცნობს, ცუდს მხარს უჭერს, ითმენს, ითმენს თქვენი ბებო, ითმენს, მანამ გული უძლებს." ცხოვრება გალის..... მონატრება უსასრულო გაცნადა გარდასახება.... წარსულში გადადის და საოცარი სევდა მესხიერებაში იბეჭდება, რათა მრავალგზის დაუბრუნდეს იმას, რაც ასე ძალიან მიყვარს.

ლია ქიშაია

მადლობის წერილი

კეთილსინდისიერი და მაღალპროფესიული მომსახურებისათვის მადლობას ვუხდით ქალაქ ქუთაისის ინფექციური საავადმყოფოს (ფოთის ქ. 40) მედ.პერსონალს, კერძოდ მეურნალ ექიმს ილია ალფაიძეს. ინება ჭკაღა და ვლადიმერ თოლა.

ხუნტა ლაგვილაჲ-ხვითია-100



დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა ღვაწლმოსილ აგრნონოს, მრავალი მედლი სა და ორდენის კავალერს, შესანიშნავ დედას და ბებიას, 2022 წლის 15 ოქტომბერს დაბადებულს მუგდილის რაიონის სოფელ რუხში მცხოვრებ ხუნტა სევერიანეს ასულ ლაგვილაჲ-ხვითიას.

ვულოცავ საიუბილეო თარიღს წარმატებულ ქალბატონს, ჩემს ძვირფას ნათლის დედას, ყველასათვის საყვარელ პიროვნებას და ვუსურვებ ყოველივე კარგს და კეთილს.

განალი თოლა

ი უ მ რ ი

—არა სიმონი, შენ კორონა პირუსი არა გაქვს, შენ ოპოზიციური აზროვნების ჭია გაქვს...

